ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4963076

ნომერი: AR1748709

თარიღი : 17.05.2020

გაცემის თარიღი : 25.05.2020

გაცნობის თარიღი : 25.05.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, გრიგოლ ჩხიკვაძის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ქავთარაძე პ/ნ 05001002109
- დ. ასპინძა შ.რუსთაველის ქ. N 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტისარქიტექტურისსამსახურის 2020 წლის 31 მარტის №4916558 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 17 მაისს №AR1748709 განცხადებით მომართა დავით ქავთარაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 31 მარტის

№4916558 ბრძანებაში ტექნიკურიშეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომსამსახურის 2020 წლის 31 მარტის №4916558 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქ თბილისში, სოფ. დიღომში, ჩალიპირებში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.034.136), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.ხოლო სამსახურის 2020 წლის 04 მაისის №4938943 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 04 მაისიდან 2022 წლის 04 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებისთანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 მარტის №4916558 ბრძანებით შეთანხმებულ -2.750 და +16.100 ნიშნულების გეგმებზე ფართობები არასწორად იქნა დაფიქსირებული და შესაბამისად ითხოვს შესწორებული გეგმების ჩანაცვლებას. განმცახდებელი ასევე უთითებს, რომ არ იცვლება ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.
სამსახურმა განმცხადებლის მიერწარმოდგენილი შესწორებული -2.750 და +16.100 ნიშნულების გეგმები შეადარა შეთანხმებულ ამავე ნიშნულების გეგმებს და დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება, სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ -2.750 და +16.100 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება არ იწვევს შეთანხმებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებას.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 მარტის №4916558 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის59-ე მუხლისთანახმად, ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომაქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 მარტის №4916558 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -2.750 და +16.100 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 მარტის №4916558 ბრძანება დანარჩენ ნაწილშიდარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანებაგანხილულ იქნასქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 მარტის №4916558 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილიწესით, მისიოფიციალური წესითგაცნობიდან ერთითვის ვადაში.